

ქართულ-ოსური კონფლიქტი: ტრაგედია, ნარატივი და დაკარგული ხმები

„ცხინვალამდე და იმის იქით ჯავამდეც ვიყავი, ესე იგი, განადგურებულია... ქართული სოფლები მაინც, კეხვი, აჩაბეთი და ეგენი, არა, აღარ ეტყობა ნასახლარები. აღარაფერი აღარ არი. ამას აბა ვინდა აღადგენს, რა ვიცი მე. ეს შედეგი გამოიღო იმ 90-იანმა წლებმა, განადგურდა სოფლები, ხალხი, დაიხოცნენ ბევრნი დარდისგანა და კიდევ რამდენი მოკვდება ღმერთმა იცის“.ⁱ – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საბოლოოდ დეკლარირდა ამ კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობა, თუმცა, ომის ასეთი სახელდება თითქოს საკუთარ თავში ცხადად აღარ მოიაზრებს ქართულ-ოსური კონფლიქტის გრძელ და ხანგრძლივ ისტორიას. მაშინ, როცა ომის უშუალო მონაწილეებს, ჯარისკაცებსა თუ მშვიდობიან მოსახლეობას, კარგად ახსოვთ 90-იანი წლების ომი, ხოლო ოსების კოლექტიურ მეხსიერებაში აქტიური იმპულსი აქვს 1920 წლის ამბებსაც, დროთა განმავლობაში ყურადღება მხოლოდ რუსეთზე მახვილდება და ყოველ ახალ თაობას სულ უფრო ნაკლები ცოდნა აქვს უშუალოდ ქართველებსა და ოსებს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ასევეა აფხაზეთის საკითხშიც, ცოტამ თუ იცის, რომ კონფლიქტი საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ ხაზზეა გადაჭიმული.ⁱⁱ ასეთი მძიმე დაპირისპირებების ფონზე იქმნება ნარატივები, სადაც, რაც შეიძლება მარტივად და თვალსაჩინოდ უნდა გაცხადდეს დიქტომიური ჭიდილი, კარგი და ცუდი, *ჩვენი* და *უცხო*, ამგვარი დაყოფა რეგიონისთვის ნაცნობი და ახლობელია საერთო საბჭოთა გამოცდილების გამო.ⁱⁱⁱ პროცესის გამარტივების მცდელობა კი ხელიდან გვაცლის სხვადასხვა პერსპექტივას, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, თუ პირად განზომილებებს.^{iv}

ცხადია, ეს ნეგატიურად მოქმედებს კონფლიქტის მოგვარებაზეც, რადგან მისი სიმწვავე, პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური საკითხების გარდა, მტკივნეულ ადამიანურ ისტორიებს, ტრაგედიებსა და ტრაუმებსაც მოიცავს. მომავალში ურთიერთობის ახლიდან დამყარება კომპლექსური წარსულის იგნორირებით ვერ მოხერხდება. შესაბამისად, კონფლიქტის გადააზრების გზაზე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ორივე მხარის დამოკიდებულება, რომლის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს თამაშობს, როგორც კოლექტიური მეხსიერება, ასევე ომის დროს და მის შემდეგ შექმნილი ნარატივები. ესეიში სწორედ კოლექტიური მეხსიერებისა და ნარატივის მნიშვნელობაზე ვისაუბრებ, ოღონდ ტრაუმული გამოცდილების ჭრილში, რადგან ომი და ომის დროს მომხდარი ტრაგედიები კონფლიქტში დამატებით ფაქტორებს ქმნის.

80-იანი წლების ბოლოს საქართველოში საპროტესტო აქციები ყოველდღიურობად იქცა. 1978 წელს ენის რეფორმის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის შემდეგ სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრეფდა ქართული

ნაციონალისტური ფრთა.^v ნაციონალისტური ნარატივის გაძლიერება კი ძაბავდა ურთიერთობას ეთნიკურ უმცირესობებთან. ომი სამხრეთ ოსეთში 1991 წლის 6 იანვარს დაიწყო და წელიწადნახევარს გაგრძელდა. 1989 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ოლქი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადა. საპასუხოდ, 23 იანვარს ჩატარდა „მშვიდობის მარში“, რომელმაც ცხინვალის მისადგომებს მიაღწია, თუმცა ოსი მოსახლეობისა და საბჭოთა ჯარების კორდონმა ცხინვალში ჩასვლის საშუალება რამდენიმე ათეულ ათას ქართველს არ მისცა. 1990 წელს გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა. თბილისში ეს გადაწყვეტილება გააუქმეს. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. „1991 წლის 6 იანვრის ღამეს, სსრკ შინაგანი ჯარისგან წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, ცხინვალში შეიჭრნენ საქართველოს შსს-ს მეზღმოდლები. დაიწყო ქუჩის შეტაკებები. ომმა პოზიციური, და ამავედროულად პარტიზანულ-დივერსიული ხასიათი მიიღო. ასე გრძელდებოდა 1992 წლის ივლისამდე, სანამ „ცხელ წერტილში“ სამი მშვიდობისმყოფელი ბატალიონი-რუსული, ოსური და ქართული არ განთავსდა”.^{vi}

ამ ისტორიის გათვალისწინებით 2008 წლის რუსულ-ქართული ომი სხვა პერსპექტივებსაც იძენს. თუმცა, ომის შემდგომი ნარატიული ხაზი ამ პერსპექტივებს დიდწილად არ მოიაზრებს.^{vii} „... შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთ ნარატიულ ტექსტებს, რომლებზეც დამყარებულია კოლექტიური მეხსიერება, უმჯობესია, თუ განვიხილავთ ხელსაწყობად ან დაუმუშავებელ მასალად, რისი მეშვეობითაც წარსულის ორგანიზება ან რეკონსტრუქცია ხდება. იმის ნაცვლად, რომ მათ დაიტიონ ზუსტი და შეუცვლელი ინფორმაცია, ისინი გადაიქცევიან ‘რადაც მოვლენების’ ინდიკატორებად, რომლებსაც შემდეგ ინდივიდი, ან თუნდაც ჯგუფი, გაიმეორებს”.^{viii} ზუსტი ინფორმაციისა და სიტყვების დამახსოვრების ნაცვლად, კოლექტიური მეხსიერების შექმნის პროცესში ჩვენ ვიმახსოვრებთ ზოგად აზრს, რისი საშუალებითაც ამა თუ იმ მოვლენას გარკვეული ღირებულება მიეწერება. ეს პროცესი შეუქცევადი გახდა მას შემდეგ, რაც დაიხვეწა და განვითარდა მედია საშუალებები და შეიცვალა მიმართება ისტორიასა და მეხსიერებას შორის.^{ix}

კოლექტიურ ტრავმაზე წერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრავმის დაძლევისათვის. კოლექტიური ტრავმის აღქმა მხოლოდ ჩვენს ქვეცნობიერს შეუძლია. თუმცა, ტრავმის იგნორირების მიზნით, ადამიანი ცდილობს, არ გაანალიზოს მომხდარი, პირიქით, თავს აიძულებს, განზრახ დაივიწყოს იგი. ეს კი პოსტტრავმულ სტრესს იწვევს. მისი დაძლევა „მეხსიერების აღდგენით“ შეიძლება. სწორედ აქ შემოდის ნარატივის მნიშვნელობა. ნარატივები საშუალებაა დაზარალებულის თვალთ დასახული ტრავმული მოვლენის აღსაწერად.^x

ქართულ-ოსურ კონფლიქტსა და ტრავმულ გამოცდილებაზე შექმნილი ნარატივებიც ამ ლოგიკას მიჰყვება.^{xi}

80-იანი წლების მიწურულიდან პრესაში, როგორც ქართული, ასევე ოსური მხრიდან, აქტიურად იწერებოდა წერილები.^{xii} საქართველოს მხრიდან მთავარი დისკურსი „თანასწორი პირობების“ აღდგენაზე აპელირებდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ ქართველები საქართველოში არ უნდა იჩაგრებოდნენ და არ უნდა ხდებოდეს მათი დისკრიმინაცია ეთნიკური უმცირესობების მხრიდან. 1989 წლის თებერვალში „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა მკითხველის - ინჟინერ ნოდარ ნებიერიძის - წერილი რედაქციისადმი სათაურით: „დავიცვათ სახელმწიფო ენის სტატუსი“. „1988 წლის ნოემბერში ქალაქ ცხინვალში რესპუბლიკური გაერთიანების „საქაგრომშე ნის“ მეთხუთმეტე ტრესტის გორის მოძრავ-მექანიზებულ კოლონას, რომელიც სხვადასხვა სამონტაჟო სამუშაოებს ატარებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ ცხინვალის # 3503 შემნახველმა ბანკმა უარი უთხრა ხელფასების გაცემაზე“. უარის მიზეზი იყო ის, რომ დოკუმენტები შედგენილი იყო ქართულ ენაზე, რომელიც ბანკის თანამშრომლებისთვის გაუგებარი აღმოჩნდა.^{xiii}

1989 წლის 2 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მკითხველის - დიანა მაჩაბლის - წერილი: „გაღმით შეედავე და გამოღმით შეგრჩება“. „ა. ჩოჩიევს უნდა ვკითხოთ, თუ შეწუხებულა ოდესმე ქართველი “ძმების” ჩაგვრის გამო. მაღაზიაში შესულმა ქართულად რომ იკითხო, პასუხს არავინ გაგცემს. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველი არ ინიშნება. ცხინვალისა და ახლომახლო სოფლების ქართველი მოსახლეობა გორში ან გორის რაიონის სოფლებში მიდის სამუშაოდ და ასე თანდათან იცლება ქართული სოფლები ქართველებისგან“.^{xiv}

1988 წელს ისევ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ტარიელ კვანჭილაშვილის წერილი „მერე რა იქნება“. ავტორის აზრით, საქართველოში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა იყო, ეთნიკური უმცირესობათა რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდებოდა, რაც მომავალში ქართველი ერის გაქრობას გამოიწვევდა. ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზად კი ავტორმა ეთნიკურ უმცირესობათა ოჯახებში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება მიიჩნია. საპასუხოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ნაფი ჯუსოითიმ „სოვეტსკაია ოსეთია“-ს 9 დეკემბრის ნომერში გასცა პასუხი, სადაც ის, სრულიად სამართლიანად, რიცხვებით მანიპულირებასა და ცნებების არასწორად განმარტებაში ადანაშაულებდა ტარიელ კვანჭილაშვილს.^{xv}

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 23 ნოემბრის აქციის შემდეგ. 9 დეკემბერს საქართველოს ეროვნული თავდაცვის შტაბის^{xvi} მიმართვაში ვკითხულობთ:

„ქართველებს თქვენ არასოდეს დაუჩაგრიათ, პირიქით, თქვენ არაერთხელ გათავხედებულხართ და ქართველების ჩაგვრა მოგინდომებიათ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დასჯილხართ! დასჯილხართ! - სამართლიანადაც! შეისწავლეთ ისტორია - თვალი გაუსწორეთ ისტორიულ სიმართლეს და ირწმუნეთ, რომ ოსების თავხედობას საქართველოში ყოველთვის ბოლო მოჰდება და ამჯერადაც ასე იქნება, რადგან ჩვენ, ქართველები მუდამ მართალნი ვიყავით თქვენს წინაშე - ეხლაც მართალნი ვართ და ამიტომ - ჩვენთან არს ღმერთი!“. წერილის ავტორები ცდილობენ, წარმოადგინონ ისტორიული ექსკურსი ოსების „ურჩობისა“ და მაგალითად მოჰყავთ ვახტანგ გორგასლის მეფობის ამბავი, რომელსაც უფრო მეტად ლეგენდა ეთქმის, როდესაც ოსებმა ვახტანგის და გაიტაცეს. აქ საინტერესო ისაა, რომ ბრძოლისას ვახტანგის ნათქვამი სიტყვები ბრჭყალებშია მოქცეული, ანუ „დაციტირებულია“. უხსოვარი დროიდან ციტატების მოყვანა და რიცხვებით მანიპულაცია ემსახურებოდა, არა კონფლიქტის მოგვარებას, არამედ საერთო ნარატივის ჩამოყალიბებას, რაც კოლექტიურ მეხსიერებაში საკუთარი ქმედებების გამამართლებელი არგუმენტების ბაზას ქმნის.

ისტორიისა და კოლექტიური მეხსიერების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ახალი აღმოჩენა ისტორიულ პერსპექტივას მარტივად ცვლის, ხოლო კოლექტიური მეხსიერების მორალური განზომილების გამო მისი ცვლილება გაცილებით რთულია. შედეგად, მხარეებს დღემდე უჭირთ ერთმანეთის ტრაგედიების დაჯერებაც კი. ხელოვნურად შექმნილი ზოგადი ნარატივი, რომელიც აყალიბებს კოლექტიურ მეხსიერებას, კარგავს და ივიწყებს ინდივიდუალურ, ნამდვილ ამბებს.

1992 წლის მარტში ოსებმა სამი ქართველი დააკავეს და გამოსასყიდს ითხოვდნენ. ემა გაბუნია გამოსასყიდის მიტანის პირობით გამოუშვეს, რეზო ფირცხალაშვილი გარკვეული დროის შემდეგ გამოიპარა, ხოლო ნესტან (ყარალაშვილი) გაბუნია გორის საავადმყოფოში ფილტვების ანთებისა და ჯგუფური გაუპატიურების გამო გამოწვეული სეფსისით გარდაიცვალა. გადარჩენილ რეზო ფირცხალაშვილზე კი მისი ცოლი ამბობდა: „რომ ვნახე, ვერ ვიცანი. რა ვუწოდო მის მდგომარეობას, არ ვიცი. ეს ალბათ, ძლიერი ტრავმის შედეგად გამოწვეული ფიზიოლოგიური აფექტი, ხანმოკლე შეურაცხადობა იყო. თავჩაქინდრული იჯდა. ხან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ხანაც გამუდმებით დუმდა. ერთხელ ფიქრებში ჩაიძირა. უნებურად არ მოხდა: „რატომ?“ იფეთქა. მივხვდი: სიტუაცია, რომელშიც რეზო აღმოჩნდა, სრულიად გამორიცხავდა სიტყვას „რატომ“ შეკითხვა უადგილო, ალოგიკური იყო და იგი არ უნდა დასმულიყო“.^{xvii} ინდივიდუალურ ტრაგედიებზე ზოგად ნარატივს მხოლოდ პრიმიტიული პასუხები აქვს, რაც ტრავმის უგულებელყოფის ან დაძლევისათვის საკმარისი არ არის. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქართული მხრიდანაც სხვადასხვა დაჯგუფებას სხვადასხვა

ვერსია აქვს მომხდარზე, თუ ვინ ჩადიოდა დანაშაულს.^{xviii} ამ ნარატივების ომში კი ინდივიდუალური ტრავმული ამბები ხელიდან გვისხლტება. აქ არ არსებობს რომელიმე მხარის წარმომადგენელი, არამედ არსებობს მხოლოდ მსხვერპლი და დამნაშავე, განურჩევლად ეროვნებისა: „რას არა ყვებიან იცი? გაუპატიურებებსა, ქალები თვითონ არა ყვებიან. სცხვენიათ. მაგრამა ბევრი იყო ეგენი”.^{xix} ძლიერი ტრავმის შემდეგ განცდილი სირცხვილი ბუნებრივი მოვლენაა.^{xx} ადამიანებს რცხვენიათ იმის, რაც მოხდა, რასაც შეესწრნენ, ან რაც საკუთარ თავზე გამოცადეს.^{xxi} ისინი ცდილობენ გაეცნენ ამ სირცხვილს, უგულებელყონ და უარი თქვან საკუთარ წარსულზე, რაც კიდევ უფრო მეტად აქრობს ინდივიდების ხმას და აძლიერებს ზოგად ნარატივს.

ადამიანები თავად წყვეტენ რა, როგორ და რატომ დაიმახსოვრონ. თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური ძალაუფლება იღებს გადაწყვეტილებას, რა ნაწილი მოაქციოს „ოფიციალურ ნარატივში”. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ქართველებსა და ოსებში გავრცელებული ნარატივების ერთი ნაწილი ფაქტებს ემყარება, მეორე ფაქტების ინტერპრეტაციას, მესამე კი გამოცდილებასა და მეხსიერებას. ომგამოვლილი ადამიანები კონკრეტულ ამბებს განსხვავებულად იმახსოვრებენ და იხსენებენ”.^{xxii} ხოლო ტრავმის დამღევის გზაზე, მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა დაუძვრეს დომინანტი ნარატივის პარადიგმას, რისთვისაც სირცხვილისთვის თვალის გასწორებაა საჭირო. ამავდროულად, აუცილებელია, თითოეული მხარის ნარატივის გამოკვლევა, მიზეზ-შედეგობრიობის დანახვა და ინდივიდუალური მიმართებების სააშკარაოზე გამოტანა.

ⁱ — კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები (ქართულ-ოსური კონტექსტი). 2016, გვ. 11.

ⁱⁱ Kemoklidze, Nino. 2015. „Georgian–Abkhaz relations in the post-Stalinist era”. In *Georgia after Stalin*. Ed. Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith. Routledge.

-
- ⁱⁱⁱ Wertsch, James V. *Voice of Collective Remembering*. UK: Cambridge University Press, 2004
- ^{iv} სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე იხ.: Welt, Cory. 2014. "A fateful moment: Ethnic autonomy and revolutionary violence in the Democratic Republic of Georgia (1918–21) 1." In *The Making of Modern Georgia, 1918–2012*, pp. 205-231. Routledge.
- ^v ჯიშყარიანი, დავით. 2019. *თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები*, გვ. 7-8.
- ^{vi} Sutori (ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1977-2008))
<https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnKEUAAdd>
- ^{vii} Wertsch, James V., and Zurab Karumidze. 2009. "Spinning the past: Russian and Georgian accounts of the war of August 2008." *Memory Studies* 2, no. 3: 377-391.
- ^{viii} Lotman, Yu.M. 1990. *Universe of the mind: A semiotic theory of culture*, p. 224.
- ^{ix} Nora, Pier. 1989. "Between Memory and History: Les Lieux de Mémoire". *Representations*, No. 26, Spring, Special Issue: Memory and Counter-Memory. pp. 7-24.
- ^x Alexander, Jeffrey. 2004. *Cultural Trauma and Collective Identity*, p. 5.
- ^{xi} დამატებით იხილეთ დისერტაცია: ქენჭაძე, ლიკა. „დეცნილთა დასახლებები კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიათა ჭრილში (2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი)“. *ცივილიზაციური ძიებანი*. N11, 2013. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ^{xii} ეგრედ წოდებული „წერილების ომის“ შესახებ უფრო ვრცელად იხ.: ჭაკვეტაძე, ნათია. 2019. *ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა*. წარმოდგენილი ნაშრომი მომზადდა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით. http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27
- ^{xiii} Sutori
- ^{xiv} sutori
- ^{xv} *ინდიგო*. N 0.41, სექტემბერ-ოქტომბერი, 2019, გვ.18-26.
- ^{xvi} შტაბის წევრები იყვნენ იყვნენ ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი, ვაჟა ადამია, ირაკლი ბათიაშვილი, თემურ სუმბათაშვილი, თორნიკე ფიფია და ავთანდილ რცხილაძე.
- ^{xvii} *ინდიგო*. N 0.41, სექტემბერ-ოქტომბერი, 2019, გვ.74.
- ^{xviii} იხ. მხედრიონის წევრის გიგა არველაძისა და „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ ლიდერის ვაჟა ადამიას ინტერვიუები. *ინდიგო*. N 0.41, სექტემბერ-ოქტომბერი, 2019.
- ^{xix} *ინდიგო*. N 0.41, სექტემბერ-ოქტომბერი, 2019, გვ.88.
- ^{xx} Leys, Ruth. *From guilt and shame: Auschwitz and after*. UK: Princeton University Press, 2007
- ^{xxi} Dolezal, Luna. "Shame, Vulnerability and Belonging: Reconsidering Sartre's Account of Shame." *Human Studies*, 06 June 2017.
- ^{xxii} ჭაკვეტაძე, ნათია. 2019. *ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა*, გვ.7.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბეშაძე, ნინო. 2016. *2008 წლის აგვისტოს ომი როგორც კოლექტიური ტრავმა*. ნაშრომი შესრულებულია კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჭაკვეტაძე, ნათია. 2019. *ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიკ გეგერა*. წარმოდგენილი ნაშრომი მომზადდა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით. http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/27

ქენქაძე, ლიკა. „დევნილთა დასახლებები კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების თეორიათა კრილში (2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი)“. *ცივილიზაციური ძიებანი*. N11, 2013. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯიშკარიანი, დავით. 2019. *თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები*. წარმოდგენილი ნაშრომი მომზადდა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით. http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/28

— *კონფლიქტის საფასური: უთქმელი ამბები (ქართულ-ოსური კონტექსტი)*. 2016. რედ. დიანა ალბოტოვა, სიუზან ალენი, ნინო კალანდარიშვილი. აშშ: ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი.

ინდიგო. N 0.41, სექტემბერ-ოქტომბერი, 2019.

Sutori (ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1977-2008))
<https://www.sutori.com/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd>

ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

Assmann, Jan. 2015. *Memory and Culture*. In *Memory: A History*, edited by Dmitri Nikulin, 325–350. Oxford: Oxford University Press.

Alexander, Jeffrey. 2004. *Cultural Trauma and Collective Identity*. University California Press Ltd. London.

Lotman, Yu.M. 1990. *Universe of the mind: A semiotic theory of culture*. Bloomington: Indiana University Press (translated by Ann Shukman).

Leys, Ruth. 2007. *From guilt and shame: Auschwitz and after*. UK: Princeton University Press.

Nora, Pier. 1989. "Between Memory and History: Les Lieux de Mémoire". *Representations*, No. 26, Spring, Special Issue: Memory and Counter-Memory. pp. 7-24.

Schwartz, Barry. 2016. „Rethinking the concept of collective memory”, in *Routledge International Hanbook of Memory Studies*. Anna Lista Tota and Trever Hagen. Routledge: London and New York, pp. 9-22.

Hunt, Nigel. 2010. *War and Trauma*. Cambridge University Press.

Kemoklidze, Nino. 2015. „Georgian–Abkhaz relations in the post-Stalinist era”. In *Georgia after Stalin*. Ed. Timothy K. Blauvelt and Jeremy Smith. Routledge.

Wertsch, James V., and Zurab Karumidze. 2009. "Spinning the past: Russian and Georgian accounts of the war of August 2008." *Memory Studies* 2, no. 3: 377-391.

Wertsch, James V. 2004. *Voice of Collective Remembering*. UK: Campridge University Press.

ნაშრომი შეიქმნა ნაციონალიზმისა და კონფლიქტის კვლევის ინსტიტუტის ინიციატივით განხორციელებული პროექტის „ქართულ - ოსური კონფლიქტის დროითი წრფევი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის” ფარგლებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით

ავტორი: გიორგი ჭკადუა